პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა
30 მარტი,
1958 წელი
№ 38 (1208)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფესიონალთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარეს

კონსტიტუციის 70 მუხლის შესაბამისად და იმის გამო, რომ სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხი დასმულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, მინისტრთა საბჭოს ამოწურულად მიაჩნია თავისი მოვალეობანი და იხსნის თავის რწმუნებებს უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გთხოვთ აცნობოთ ეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ბულგანინი.

1958 წ. 27 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინის განცხადების გამო

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის განცხადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობა იხსნის რწმუნებებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

2. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობა.

მოსკოვი, კრემლი. 1958 წ. 27 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაინიშნოს ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე **ხრუშჩოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოადგინოს წინადადება სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

მოსკოვი, კრემლი. 1958 წ. 27 მარტი.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის

სულ ახლახან საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მისცა ხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, სოციალისტური სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში აირჩია საუკეთესო ადამიანები. და ეი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან შეიკრიბნენ მოსკოვში უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე.

სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ უნდა გადაწყვიტოს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები, მათ შორის მთავარზე უმთავრესია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ, რომელმაც მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა. ჩვენი ადამიანები რწმენას გამოთქვამენ, რომ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ახალი ისტორიული ამოცანები მთლიანად გამოხატავს ხალხის ინტერესებს, ემსახურება კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებას და ხელს უწყობს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური საკითხის გადაწყვეტას.

სწორედ ამიტომ, იყო, რომ ჩვენი თვალწვდენელი სამშობლოს მილიონობით მუშამ, კოლმეურნემ, ინტელიგენციის წარმომადგენელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ წინადადებათა განხილვაში, რომლებიც ხალხელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ დასახა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისათვის.

27 მარტს, კრემლის დიდ სახახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის V მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი. შეკრებილნი ფეხზე დგებიან და მჭუხარე ტაშით მიესალმებიან ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს. შემდეგ სესიამ აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის 15 მოადგილე მოკავშირე რესპუბლიკების რიცხვის მიხედვით, პრეზიდიუმის მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 16 წევრი.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინის განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად და იმის გამო, რომ სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხი დასმულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, მინისტრთა საბჭოს თავისი მოვალეობანი ამოწურულად მიაჩნია და იხსნის რწმუნებებს უმაღლესი საბჭოს წინაშე.

წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა კ. ე. ვოროშილოვმა, რომელმაც თქვა: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უხუცესთა საბჭოს დავალებით წინადადება შემომაქვს დაინიშნოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, რასაც შეკრებილნი მჭუხარე ტაშით და ფეხზე ადგომით შეხვდნენ. შემდეგ კ. ე. ვოროშილოვმა დაახასიათა ნ. ს. ხრუშჩოვი, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც 40 წელზე მეტია დაუცხრომელი ენერგიით, სიმტკიცითა და პრინციპულობით ერთგულად ემსახურება მშრომელთა ინტერესებს, მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის, ჩვენი ლენინური პარტიის დიად საქმეს, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმეს.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: დაინიშნოს ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და მიენდოს მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოიტანოს წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

ამის შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგის მორიგი საკითხის განხილვას — საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება დეპუტატებმა და სტუმრებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს მჭუხარე ტაშით.

სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია განაგრძობს თავის მუშაობას.

გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი

სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავის აღსანიშნავად საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურმა სპორტულმა კლუბმა დააწესა სპორტის დამსახურებული ოსტატის, გამოჩენილი ფეხბურთელის გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი. იგი მიმდინარე სეზონიდან გათამაშდება ყოველწლიურად და გადაეცემა იმ კოლექტივს, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველობის მატჩებში მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანს ბურთების ყველაზე მეტ რაოდენობას, მიუხედავად იმისა, ჩემპიონი იქნება იგი თუ არა.

დიდი მატჩი

ანგარიშია 6:3

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით VIII პარტია გადადებული იყო დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში. ჩვეულებრივ შეწყვეტილ პოზიციას მეტოქეები თავიანთ სახლებში სეკუნდანტებთან ერთად არჩევენ. ჩანს ღრმა ანალიზმა დაარწმუნა ისინი შეწყვეტილი მდგომარეობის შემდგომი გაძლიერების შეუძლებლობაში. ამიტომ 26 მარტს დღისით ბოტვინიკის სახელით მისმა სეკუნდანტმა ოსტატმა გ. გოლდბერგმა ტელეფონით შესთავაზა სმისლოვს ყაიმი თამაშის განუახლებლად. მსოფლიოს ჩემპიონმა წინადადება მიიღო. სალამოს მსაჯთა კოლეგიამ ეს შედეგი ოფიციალურად გააფორმა.

27 მარტს გაიმართა IX პარტია, რომელშიც თეთრებით სმისლოვი იყო. ბოტვინიკმა ისე, როგორც V და VII პარტიებში, სიცილიური დაცვის დრაკონის სისტემა გაითამაშა. დასაწყისში სმისლოვი ცნობილ გზას გაჰყვა. მაგრამ ბოტვინიკმა მე-8 სვლაზე პარტიას ახალი მომართულება მისცა. მოსალოდნელი იყო რთული და საინტერესო ბრძოლა. მაგრამ, მალე მეტოქეებმა ფიგურები გაცვალეს. როცა დაფაზე დარჩა მხოლოდ ეტლები, ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, IX პარტიის შემდეგ უპირატესობას კვლავ მ. ბოტვინიკი ინარჩუნებს, ანგარიშია 6:3 მის სასარგებლოდ.

საერთოდ, გადადებული პარტიების დამთავრება ეწყობა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. აქ მოყვანილ გ. ველიკანოვის ფოტოებზე აღბეჭდილია IV პარტიის დამთავრება. როგორც ზედა სურათზე ხედავთ ჩემპიონი ე. სმისლოვი და მ. ბოტვინიკი თამაშობენ ცალკე ოთახში, სადაც მათ არ ესწრებიან მაყურებლები, რაც კლუბის დარბაზების სივიწროვითაა გამოწვეული. სურათზე ბოტვინიკის უკან მოჩანს სმისლოვის სეკუნდანტი გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი, ხოლო სმისლოვის მარჯვნივ დგას დემონსტრატორი, რომელიც იწერს პარტიაში გაკეთებულ სვლებს და იმეორებს მათ სადემონსტრაციო დაფებზე, რომლებიც დადგმულია კლუბის სამ-ოთხ ოთახში. ჭადრაკის მოყვარულები იქ თავისუფლად გრძნობენ თავს, ხმამაღლა ლაპარაკობენ და კამათობენ. ასეთი მომენტია აღბეჭდილი ქვედა სურათზე.

• • •

გუშინ შედგა მატჩის X პარტია, რომელიც არ დამთავრებულა.

ი. გ. სტალინის
სახელოგის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სპორტსმენის ფურცელი

ი. გ. სტალინის
სახელოგის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ვეფხვაძეების სტუდენტობა თაობათა საკუთრებისათვის

პროგნოზები ნაადრევია— ამგოგს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე ლ. ყანჩაველი



სურათებზე: მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრები მეცადინეობენ. მარჯვნივ მწვრთნელი კ. შეყილაძე. ქვევით — მოფარიკავეები მეცადინეობის დაწყების წინ ამოწმებენ იარაღს.

ფოტო ვ. აბაშიძისა.

— რატომ?

— ნუთუ ამას ახსნა უნდა?! — გვპასუხობს იგი. — რამდენჯერ ვყოფილვართ სპორტულ ბრძოლებში სასიამოვნო თუ უსიამოვნო სიურპრიზების მოწმენი! დაასახელებ ძლიერს, გამარჯვების პრეტენდენტს და მეორე დღეს ხედავ, რომ ის ისეთის შეერაა ძლეული, რომელიც ანგარიშშიც არ გყოლია. ბევრს ძიაჩნია — ასეთ ამბებს უბრალო შემთხვევითობა განაპირობებსო, ვითომ — „ბურთი მრგვალია...“ მაგრამ, არა! მათ ერთი რკინისებური კანონზომიერება უდევთ საფუძვლად— ახლის ზრდა, ახალგაზრდობის მძლავრი სწრაფვა გამარჯვებისაკენ. და რა გასაკვირია, რომ ეს „კანონი“ ყველაზე მკაფიოდ სტუდენტობის, ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში იჩენს თავს. აქ ხომ ყველაფერი განსაკუთრებით ცვალებადი, მოძრავი და არამდგრადია; ყოველ წელს ახალი სახელები გვევლინებიან. ასეთ ვითარებაში, ცხადია, მე ვერცერთ სახეობას ვერ დაგისახელებ, რომელშიც კატეგორიული, აბსოლუტური [illegible] ... ების იმედი მქონდეს სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშების შესარჩევ ეტაპებზე. თუმცა, სურვილი იმისა, რომ სწორედ უნივერსიტეტის სპორტსმენებს, მათ ამა თუ იმ გუნდს ხვდეს მაღალი პატივი საკავშირო ასპარეზობაში საქართველოს სპორტული ღირსების დაცვისა, მეტად დიდი გვაქვს. მაგრამ, ვის არა აქვს ასეთი სურვილი?

— მაინც, როგორ მიმდინარეობს მზადება თამაშებისათვის?

— უნივერსიტეტს საკმაოდ მდიდარი სპორტული ბაზა აქვს. ეს ცნობილია. მოკლე ხანში მას დაემატება ჩოგბურთის ახალი მოედანი. ყველა არსებულ ბაზას ჩავუტარეთ კაპიტალური რემონტი, რათა ისინი მაქსიმალურად მოემსახურონ ჩვენს სპორტსმენთა მზადებას. სპორტინვენტარზე წუწუნი არ გვიხდება. რაც შეეხება სპორტსმენთაგან ნაკრები გუნდების დაკომპლექტების საკითხს — ყველა სახეობაში, რომელსაც კი თამაშების პროგრამა ითვალისწინებს, დაკომპლექტებულია გუნდები და მათ მიჩენილი ყავთ მწვრთნელები. მეტიც — გუნდებმა საკმაო ხანია დაიწყეს წვრთნა. სხვა საქმეა, თუ როგორ არიან დაკომპლექტებული ეს გუნდები. აქ ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. თამაშების ახალმა, მკაცრმა დებულებამ კერძოდ ჩვენც გვაგრძნობინა, თუ რა ხარვეზები გვაქვს მუშაობაში. ერთ-ერთი ასეთი მტკივნეული ხარვეზია მაღალთანრიგოსან სტუდენტ-სპორტსმენთა მცირერიცხოვნება სპორტის მთელ რიგ სახეობებში. ამიტომაა, რომ უნივერსიტეტის ზოგიერთი ნაკრები არასრული სახით გამოვა შეჯიბრებებზე და ამისათვის ალბათ სათანადო სასჯელსაც მივიღებთ სპორტული ბრძოლის შედეგების თვალსაზრისით. კონკრეტულად მე არ დაგისახელებთ. „გაგონილს ნანახი სჯობიაო“. ამიტომ, ნათელი სურათის შესადგენად, უკეთესია თვითონვე იხილოთ ჩვენი ბაზები, სპორტსმენთა მზადებაც და ესაუბროთ ჩვენს მწვრთნელებს.

* * *

ვინაიდან უმოკლესი გზა კრივის, ჭიდაობის და ძალოსნობის დარბაზებისაკენ მიდიოდა, ჩვენც, პირველ რიგში, იქით გავეართეთ.

კრივის პატარა საწვრთნელ დარბაზში მომეცადინე სპორტსმენთა მცირე რიცხვმა მიიპყრო ყურადღება. ექვსი მოკრივეც არ იქნებოდა საწვრთნელად მოსული. ნუთუ ასეთი არაპოპულარობით სარგებლობს უნივერსიტეტში სპორტის ეს საინტერესო სახეობა?

— ერთი წლის წინ საკითხის ასე დასმა მართებული იქნებოდა, — ამბობს სტუდენტ-მოკრივეთა გუნდის მწვრთნელი გ. გასპარიანი, — და ალბათ ამიტომაც ვისჯებით ჩვენ ახლა: სტუდენტთა ნაკლებმა დაინტერესებამ განაპირობა სწორედ ის გარემოება, რომ შესარჩევ შეხვედრებში ჩვენს კონკურენტებთან ბრძოლა გუნდის მხოლოდ სამი წევრით მოგვიხდება. დებულების მოთხოვნებს ჩვენ სპორტსმენთაგან მხოლოდ ნ. შენგელია, რ. აკოფოვი და გ. გუნია აკმაყოფილებენ. ჩვენც ახლა ისევ დაგვრჩენია, რომ არსებულ ხარვეზს მომავლისათვის დღეიდანვე ზრუნვა დაეუპირისპიროთ. ასე რომ გვეფიქრა შარშან, წელს ხომ ასეთი სავალალო მდგომარეობა არ გვექნებოდა? ამჟამად სტუდენტები კრივით ძლიერ დაინტერესდნენ. ეს იმ საგულისხმო ღონისძიებამ განაპირობა, რომ სპორტის ეს სახეობა სპეციალურ საგნად შევიტანეთ ფიზიკური აღზრდის აკადემიურ გაკვეთილებზე, ამან ერთბაშად გაზარდა ახალგაზრდების დაინტერესება კრივით და ახლა სექციასაც დიდძალი სტუდენტობა მოაწყდა. გვეზრდება იმედისმომცემი, ნიჭიერი ახალგაზრდობა. მაგალითად დავასახელებ მძიმე წონის ახალბედას — სტუდენტ სიხარულიძეს. ასეთი მხოლოდ ის როდია... მაგრამ, სამწუხაროდ, არის ხელშემშლელი ფაქტორებიც. აი, თუნდაც ის საკითხი, რითაც საუბარი დავიწყეთ: ჩვენი დარბაზი იმდენად პატარაა, რომ ყველა მსურველს ვერ იტევს; თვითეულ მეცადინეობაზე აქ ექვსი კაციც გაჭირვებით დაეტევა.

და მაინც, მიუხედავად გ. გასპარიანის ვრცელი ახსნა-განმარტებისა, დასკვნა ერთია: კრივში უნივერსიტეტმა დაკარგა თავისი მდიდარი ტრადიციები და დღეს სპორტის ამ სახეობაში სამი მოკრივეთ გამოსვლა სამარცხვინო და დამაფიქრებელი ფაქტია.

ექვსი ოსტატის შემადგენლობით

საჭიდაო დარბაზში ბუდი დგას. თავისუფალ და კლასიკურ მოჭიდავეთა საწვრთნელი ბრძოლები დიდი ეუპოვრობით გამოირჩევიან. როგორსაც გამოცდილ ოსტატთა ორთაბრძოლებში ვხვდებით. ნუთუ სპორტის ამ ძველ სახეობას ასე ღრმად დაეუფლენ უბრალო სტუდენტი-მოყვარულები? საკითხის გარკვეკაში ერთ-ერთი მწვრთნელი — კ. შეყილაძე გვეხმარება:

— საქმეც იმაშია, რომ ესენი „უბრალო“ მოყვარულები არ არიან. ყოველი მათგანი მთელის არსებითაა მიცემული ჭიდაობის სტიქიას და მონდომებით იმაღლებს სპორტულ კვალიფიკაციას. ამიტომაა, რომ კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობების ნაკრებ გუნდებში ჩვენ ექვსი სპორტის ოსტატი და მრავალი პირველთანრიგოსანი გვყავს. ასეთებია: ო. კანდელაკი, ა. სიხარულიძე, გ. ჩიტიაშვილი, ე. რევია, ა. ბეროზაშვილი, ზ. დენტოშვილი და სხვები. სტუდენტთა მომავალი ასპარეზობისათვის ყოველი მათგანი გაცხოველებით ემზადება.

ძალოსანთა გაჭირვება

არც თუ ოპტიმისტურად დაგვხვდა კ. ზაუტაშვილი.

— არა, რას ბრძანებთ. პირველ ადგილზე ოცნებაც არ შეგვიძლია. რადგან თვითკრიტიკის წესით რომ ვთქვათ, ჩვენ ჯეროვნად არ ვიზრუნეთ ძალოსნობით სტუდენტთა ფართო დაინტერესებაზე და მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა მომზადებაზე. ახალი დებულება სასარგებლო წყეპლა გამოდგა ჩვენთვის და მომავალზე სერიოზულად დაგვაფიქრა. მაგრამ დღესდღეობით ეს საქმეს ვერ შველის და ჩვენც იძულებული ვართ არასრული გუნდით გამოვიდეთ. გუნდის შემადგენლობაშია სპორტის ოსტატი ტ. წერალოვი, თანრიგოსნები გ. გიორგაძე, ო. ართიელაყვა, ზ. კეკელია და სხვანი. მაგრამ, ყოველივე ეს ისე არ გამიგოთ, თითქოს ჩვენ ფარხმალს ვყრიდეთ. ჩვენ ჩვენსას მაინც ვეცდებით. გუნდი სისტემატურად მეცადინეობს და გარკვეული „ანგარიშებიც“ აქვს მომავლისათვის.

აქ კი მოუმზადებლებს არ მოუსწრო...

სამაგიეროდ, უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეებს ვერაფერი „დააკლო“ ახალმა, გაზრდილმა მოთხოვნებმა. გუნდი, რომელიც კოლექტივის სპორტულ ღირსებას დაიცავს, მთლიანად ოსტატებითა და პირველთანრიგოსნებითაა დაკომპლექტებული. გამოცდილი მწვრთნელები ხელმძღვანელობენ მათ მზადებას მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის. საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრების წევრებს—ვაჟ სპორტის ოსტატებს ა. ნარიმანოვს, რ. პერტენავას, ო. ქორქიას და პირველთანრიგოსან ბ. გიორგობიანს მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი ხელმძღვანელობს, ქალებს — ვ. კლიმოვასა და ი. მებუკეს — თედეევი, ხოლო თვით უნივერსიტეტში სპორტის ოსტატ ზ. გვეტაძის, პირველთანრიგოსნების ცნობილაძის, ნ. კასრელიშვილისა სხვათა წვრთნა ა. ფხაკაძეზეა გაბედოვნებული.

„დებულების მკაცრ სუსხს ჩვენც ვგრძნობთ“

ასე ამბობენ მძლეოსნები და მოკრივეები.

როგორც ცნობილია, დებულება მძლეოსანთა გუნდის მხოლოდ იმდენი მეორეთანრიგოსნით დაკომპლექტების უფლებას იძლევა, რამდენი პირველთანრიგოსანიცაა მის „განკარგულებაში“. უფრო დაბალი თანრიგის სპორტსმენები კი საერთოდ არ დაიშვებიან. ამიტომ, უნივერსიტეტის მძლეოსანთა ნაკრებ გუნდში მხოლოდ 8 კაცი შეადგენს: პირველთანრიგოსნები რ. ქვაჩახიძე, რ. [illegible] მაზაშვილი, გ. ჩადუნელი და ტურაევი, რომელთაც 4 მეორეთანრიგოსანი დაემატებათ. უფრო „ეულად“ [illegible] ძნობენ თავს მოკურავეები: ისინ[illegible] მხოლოდ ორი კაცის შემადგენლობით გამოვლენ, ვინაიდან შესაძლებელ[illegible] რიგოსნებისათვის აქ „ადგილი“ [illegible] არის.

* * *

სხვა სპორტულ სახეობებშ[illegible] სჩქეფს გაცხოველებული ბრ[illegible] ზადებელი მუშაობა. და ასევე, [illegible] დასხვაგვარია მათში საბრძ[illegible] სულისკვეთებაც და დასახულ მ[illegible] თა ხარისხიც, რაობაც. უფრო მხ[illegible] გრძნობენ თავს მოფარიკავეები [illegible] ჭოთა კავშირის ჩემპიონის რ. ცი[illegible] კიძის, ო. კიკალეიშვილის, ლ. ფ[illegible] ვიძისა და სხვათა შემადგენლობ[illegible] ჩოგბურთელები — მძინარაშვილ[illegible] ლუკაშვილი და სხვანი, ველოს[illegible] დისტები — ყ. გეგეჭკორის თაოს[illegible] ბით. ვაჟ და ქალ კალათბურთელ[illegible] გუნდებს, რომლებიც ახლა რესპ[illegible] ლიკის ღირსებას „ბ“ კლასის გუნ[illegible] ბის საკავშირო პირველობაზე იცავ[illegible] სვერდლოვსკში, აქაც მძიმე ბრძ[illegible] ლები მოელით პოლიტექნიკური [illegible] ფიზკულტურის ინსტიტუტების გუ[illegible] დებთან. თავიანთ შესაძლებლობებ[illegible] და შანსებს ზომავენ ფრენბურთელ[illegible] ბი დ მაგიდის ჩოგბურთელები.

სხვადასხვაგვარია მათი შანსები. მაგრამ, დაე ზოგიერთმა ვერც იგ[illegible] მოს გამარჯვების სიხარული, ოლო[illegible] თავიანთი დამარცხებითაც კი შეტ[illegible] ნოს ღირსეული წვლილი საერ[illegible] საქმეში. დაე, მათთან დაძაბ[illegible] ბრძოლებში გაიკვლიონ გზა ყველ[illegible] ზე უფრო ღირსეულმა კოლექტივ[illegible] მა, რომლებმაც უნდა იტვირთ[illegible] მძიმე და საპატიო მოვალეობა — [illegible] ქართველოს სპორტული ღირსებ[illegible] დაცვა საკავშირო სარბიელზე!

შ. ვარდოსანიძე

ჭაგუკეგი სტენდზე

სურათებზე: (მარცხნივ) შეჯიბრების ერთი მომენტი სოხუმის სტენდზე. (მარჯვნივ) ადგილიდან სროლაში გამარჯვებული შ. ცაგარეიშვილი.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

სოხუმის სტენდზე ორ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკის ახალგაზრდა სპორტსმენთა პირადი პირველობა სასტენდო სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის 18 სპორტსმენმა. მათ შორის მხოლოდ ორს — თბილისელებს შ. ცაგარეიშვილსა და კ. კლდიაშვილს ჰქონდათ ამ შეჯიბრებამდე პირველი თანრიგი, სხვები მეორე და მესამე თანრიგოსნები იყვნენ.

შეჯიბრების პროგრამაში იყო სროლა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე. თითეულ მონაწილეს ოთხ სერიად ეძლეოდა ას-ასი სამიზნე. პირველობა მიზნად ისახავდა უძლიერესთა გამოვლინებას რესპუბლიკური ნაკრებისათვის, რომელმაც აპრილში მონაწილეობა უნდა მიიღოს ლენინგრადში გამართულ ახალგაზრდა მესტენდურეთა საკავშირო პირველობაზე. სწორედ ამან განაპირობა ბრძოლის დაძაბული ხასიათიც.

შეჯიბრება დაიწყო ადგილიდან სროლაში. აქ ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის დ. ცაგარეიშვილის ვაჟი შ. ცაგარეიშვილი, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ცუდად ესროლა პირველ სერიაში, შემდგომში შესძლო ჩამორჩენის გამოსწორება და 89 სამიზნის გატეხვით მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის სამონადირეო კავშირის წარმომადგენელი ვ. ლავრინენკო—88, მესამეზე — თბილისელი კ. კლდიაშვილი, რომელმაც განმეორებით სროლაში დაამარცხა ამავე ადგილის პრეტენდენტი ო. ნუკრაძე.

მეორე დღე დაეთმო შეჯიბრებას მრგვალ სტენდზე სროლაში. ამ სახეობაში შეჯიბრების ბოლომდე შეუძლებელი იყო დადგენა თუ ვინ მოიპოვებდა უძლიერესის სახელს, რადგან მზარდ მსროლელი შ. ცაგარეიშვილს პირველივე გასროლიდან მხარდამხარ მიჰყვებოდა ბათუმელი ვ. ანდღულაძე და კ. კლდიაშვილი. უკანასკნელ მეოთხე სერიაში კ. კლდიაშვილმა ვერ გაუძლო დაძაბულ ბრძოლას, ზედიზედ აცდენდა სამიზნეებს. გამარჯვებული გამოვიდა შ. ცაგარეიშვილი, რომელმაც 86 სამიზნე გატეხა 100 შესაძლებლიდან. მას ერთი სამიზნით ჩამორჩა ბათუმელი ვ. ანდღულაძე და შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი. კ. კლდიაშვილი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ლ. ციციშვილმა, რომელმაც ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულ ახალგაზრდა მესტენდურეებს გადასცა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომები.

ვ. სემიონოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მძლეოსანთა პირველი სპარტაკიადა

აჭარის მძლეოსანთა საგაზაფხულო პირველობაში მონაწილეობა მიიღეს უმცროსი და უფროსი ასაკის გოგონებისა და ჭაბუკების, აგრეთვე ვაჟთა და ქალთა ჯგუფების წარმომადგენლებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ბათუმის გუნდმა, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ ბათუმის რაიონის კოლექტივს. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ მძლეოსნობა აჭარაში ყველგან თანაბრად არ ვითარდება. იგი ბევრ რაიონში სრულებით არ კულტივირებს.

უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებამ არანორმალურ პირობებში ჩაიარა, რადგან მასში მონაწილე რაიონებისათვის ვადები არ იყო კარგად შერჩეული. იმ დროს, როდესაც ბათუმში წვიმდა, ხულოში, შუახევში და სხვა რაიონებში თოვდა და, რა თქმა უნდა, სპორტსმენები კარგად ვერ მოემზადნენ პირველობისათვის. შეჯიბრების დაგეგმვის დროს მომავალში ანგარიში უნდა გაეწიოს იმ კლიმატურ პირობებსაც, რომლებშიც უხდებათ მუშაობა ამა თუ იმ რაიონის სპორტსმენებს. ნაწილობრივ ამის ბრალი იყო ის, რომ 17 შუახეველი მძლეოსნიდან მხოლოდ ერთმა აჩვენა მესამე თანრიგის შედეგი, ხოლო 13 ხულოელი მძლეოსნიდან — ორმა ჭაბუკთა თანრიგისა.

მიუხედავად ამისა, შეჯიბრებაზე რამდენიმე კარგი შედეგი იქნა ნაჩვენები. ასე მაგალითად, ლ. ტუღუშმა ბადრო 42 მეტრსა და 43 სმ ტყორცნა. კარგი შედეგი აჩვენა ტ. რამანოვამ, ვ. ბოხუამ, ლ. გურგენიძემ და სხვ. გასულ წელთან შედარებით უდავოდ ამაღლდა ზოგიერთი ახალგაზრდა მძლეოსნის ოსტატობა მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ლ. ივჩიკი, ვ. მიქავა, ტ. ფინდიუკოვი.

ლ. გიორგაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი

სოხუმში დამთავრდა შეჯიბრება ფრენბურთში მოსწავლეთა შორის (მეორე ჯგუფი), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ცხაკაიას, ზესტაფონის, რუსთავის, გორის და სხვა ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებმა.

პირველი ადგილი ჭაბუკთა შორის დაიპყრო რუსთავის გუნდმა, ხოლო გოგონათა შორის ბორჯომის კოლექტივმა.

* * *

სურათზე: ბორჯომისა და რუსთავის ჭაბუკთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ს. უელტიკოვისა.

საორგანიზაციო პერიოდი გაჭიანურდა

ის ღონისძიება, რომელიც ახლა ჩვენში ტარდება ტანვარჯიშში არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, ყოველმხრივ მისასალმებელი და სასარგებლოა. რომ მივაღწიოთ ტანვარჯიშის განვითარების სასურველ დონეს, დავეწიოთ წინ წასულ უკრაინელებს, მოსკოველებს, ლენინგრადელებსა და სხვებს, დავიბრუნოთ დაკარგული პოზიციები, საჭიროა გეგმაზომიერი, მეთოდური მუშაობა და არა სახელდახელო, კომპანიური ხასიათის იერიშობანა.

ხელოვნურად ადრე მომწიფებული ნაყოფი ვერ იხეირებს. ასეა ტანვარჯიშშიც. ის, რასაც ზოგიერთი მწვრთნელი აკეთებს, მხოლოდ საზიანოა სპორტსმენისათვის, რომელსაც ჯერ ელემენტებიც არა აქვს ხეირიანად ათვისებული და ხელმძღვანელი კი მოითხოვს შეჯიბრებაზე გასვლას, მთელი ნაერთეულის შესრულებას მრავალჯიდში.

მაღალ თანრიგთან მისვლა საჭიროა თანდათან, საკუთარ ძალებში დარწმუნებით, სათანადო წვრთნილ შემდეგ. სწორედ ასეა გააზრებული საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის მომზადება სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის. დრო საამისოდ საკმარისია, მზადება იწარმოებს სისტემატურად, შეფერხების გარეშე.

რესპუბლიკის ნაკრები გუნდის თვითეულ წევრზე შედგენილია პირადი საქმე, ინდივიდუალური დღიური, სადაც დეტალურადაა გათვალისწინებული თუ რომელი ელემენტი უნდა იქნას დამუშავებული ყოველ იარაღზე, როგორ ითვისებს იგი პროგრამას, რომელი შეჯიბრებისათვის რა შედეგებს უნდა მიაღწიოს და ა. შ. ასეთი სისტემა ტანმოვარჯიშის წვრთნაში პირველად ხორციელდება ჩვენს სინამდვილეში და, ეჭვი არაა, მან გარკვეულ სტაბილურობამდე უნდა მიიყვანოს საქართველოს ნაკრები გუნდი.

მაგრამ გეგმა თავისთავად მაინც მხოლოდ ქაღალდია. მისი გამოყენება საჭიროა კონკრეტული ვითარების შესაბამისად, ტანმოვარჯიშის მომზადებულობის გულდასმით გათვალისწინებით და არა ზერელედ. ამიტომ აქ ასეთი წესი აქვთ: მწვრთნელი და სპორტსმენი ადრე შედგენილ გეგმას განიხილავენ ყოველი 2 მეცადინეობის შედეგების მიხედვით, აზუსტებენ რა და როგორ იქნა ათვისებული, გამეორებაა საჭირო თუ წინ წასვლა და სხვ. ეს მეტად საყურადღებო და სასარგებლო მეთოდია.

მაგრამ ე. წ. საორგანიზაციო პერიოდი ტანმოვარჯიშეთა მზადებაში ჭიანურდება. ჯერ ერთი, ყველა ტანმოვარჯიშე და მწვრთნელი არაა ჩაბმული შეკრებაში. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ხარვეზად ამჩნევია საერთო სასწავლო გეგმას, აფერხებს საქმეს და მას ალბათ მალე ეშველება. მაგრამ საქმე დარბაზშია...

ტანვარჯიშის სპეციალიზებული დარბაზი, რომელიც სანაპიროზე შენდება, საცურაო აუზის ახლოს, ჯერ არაა მზად. მშენებლები პირობას იძლევიან, რომ დარბაზს დაახლოებით 10-15 აპრილისათვის ჩაბარებენ საექსპლოატაციოდ და საამისო სრული გარანტიაც აქვთ — მთავარი დარბაზი თითქმის მზადაა, კედლები [illegible] მზადაა, იატაკის დაგება მთავრდება, მზად იქნება დამხმარე ოთახებიც. მაგრამ საქმეს გააჭიანურებს იარაღების დადგმა. ამ დარბაზში თვითეულ ტანვარჯიშულ იარაღს ექნება სტაციონარული დასადგმელი ადგილები. მათი კეთება შეიძლებოდა ახლავე, დროის დაუკარგავად, მით უმეტეს, რომ ტანვარჯიშის სპეციალისტებმა დიდი ხანია საკუთარი ხელით მრნიშნეს ყველა ადგილი იარაღებისათვის. თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტაგებობათა სამმართველო იარაღების ლადგმას აპირებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრდება დარბაზის მშენებლობა და არა მის პარალელურად, ეს კი გააჭიანურებს საქმეს, ალბათ ლის 20-25-მდე.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე თითქოს ბევრი დროა და საგანგაშოც ბევრი არაფერია. მაგრამ რატომ უნდა დაიკარგოს თუნდაც ერთი დღე, მეტად საჭირო, ძვირფასი დღე.

ტანმოვარჯიშეებმა თავიანთი დარბაზი უნდა მიიღონ რაც შეიძლება ჩქარა. ისინი მოუთმენლად მოელიან მას.

რ. ქორიძე

ასე იგეგეენ მატჩს

პირველი და უმთავრესი შეცდომა, რომელიც დინამოელებმა დაუშვეს, ეს იყო ის, რომ მათ თავიდანვე ზედმეტი თვითდამშვიდებით დაიწყეს მატჩი. ჩემპიონი მინდორზე გამოვიდა დარწმუნებული თავის გამარჯვებაში და მოულოდნელად წააწყდა „შახტიორის“ უაღრესად ენერგიულ, თავგანწირულ თამაშს. სტალინოელებმა დასაწყისშივე უკანდაწიეს შუამარბი ი. ფედოსოვი და დაცვის მძლავრი ხაზი შექმნეს მინდვრის შუაგულში, სადაც ვ. სოკოლოვი ყოველ საჭირო მომენტში ეხმარებოდა ცენტრალურ მცველს.

მოსკოველთა თავდასხმა (გარდა ურინისა) ზერელედ და არასრული დატვირთვით თამაშობდა: დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში, მაგრამ, როცა მოწინააღმდეგე მათთვის გაუვალი აღმოჩნდა, განერვიულდნენ. ამის გამო, ჩვეული კომბინაციური, დაგეგმილი თამაშის ნაცვლად ისინი ჩქარობდნენ, ცდილობდნენ ცალკე გარღვევებით გასულიყვნენ კართან. ყოველ მთგანს სურდა რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გაეტანა გოლი, რამაც არეულობა შეიტანა მათივე საერთო გეგმაში. ეს იყო სწორედ „შახტიორის“ მიზანი, ვინაიდან ასეთ ინდივიდუალურ ბრძოლაში მცველებს წარმატების გაცილებით მეტი შანსი ჰქონდათ.

სუსტად ჩაატარა მატჩი ჩემპიონის დაცვამ, განსაკუთრებით მარცხენა ფლანგზე. მიუხედავად იმისა, რომ დონბასელებს თავდასხმაში მხოლოდ 4 ფორვარდი ჰყავდათ, ისინი თამაშობდნენ შეწყობილად, მოედნის მთელ სიგანეზე და ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს „დინამოს“ კართან.

მატჩის ბედი ძირითადად გადაწყვიტა „შახტიორის“ გარემარბების ბრძოლამ ფლანგებზე. შესანიშნავად ჩაატარა შეხვედრა მარჯვენა გარემარბმა საპრონოვმა, რომლის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო ისეთმა გამოცდილმა მცველმა, როგორიცაა კუზნეცოვი. შეხვედრის დამთავრების შემდეგ მწვრთნელებმა საპრონოვს დაუწერეს შეფასება „5“, ხოლო კუზნეცოვმა მიიღო „2“. ეს „განაჩენი“ სავსებით შეესაბამება სინამდვილეს. სწრაფი, ტექნიკური, დაუღალავი საპრონოვი ყოველ სიტუაციაში სახიფათოდ გადიოდა წინ და ბრძოლიდან თიშავდა კუზნეცოვს. 48-ე წუთზე მან შორიდან მიიღო გადაცემა, გაუსწრო კუზნეცოვს და ზუსტი დარტყმით გაიტანა ბურთი, რომელიც ერთადერთი და გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში.

მეორე ტაიმი ძირითადად დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მაგრამ ეს არ იყო ჩემპიონის ის თამაში, რომელსაც მოაქვს გამარჯვება. სტალინოელები თავგამოდებით იცავდნენ კარს და თავდასხმაშიც არ ანებებდნენ შეტევას. რამდენიმე კარგი ბურთი აიღო მეკარე ჩანოვმა.

„შახტიორმა“ დამსახურებულად მოიგო ეს ძნელი მატჩი. გუნდმა ითამაშა მაქსიმალური ენერგიით, ერთსულოვნად, კოლექტიურად და სამართლიანად ჩაიწერა გათამაშების ცხრილში პირველი ორი ქულა.

ა. პონომარიოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 3:1.

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 29 მარტი.

„შახტიორი“ (სტალინო) — „დინამო“ (მოსკოვი) — 1:0 (0:0).

„შახტიორი“: ჩანოვი; ლივენცოვი, კრივენკო, ალიაბიევი; ალპატოვი, ვ. სოკოლოვი; საპრონოვი, პარშინი (ბობოშკო), ნეფურკო, ი. ფედოსოვი, პონომარენკო.

„დინამო“: ბელიაევი; კესარევი, კრიფევსკი, კუზნეცოვი; ცარიოვი, ა. სოკოლოვი; შაბროვი, ურინი, ჭ. ფედოსოვი (მამედოვი), შაპოვალოვი, რიფკინი.

მსაჯი ვ. რამიშვილი (თბილისი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 მარტისათვის

ძირითადი შემადგენლობანი						
						თ. მ. ფ. წ. ბ. ქ.
„ლოკომოტივი“	2	1	1	0	3:0	3
„დინამო“ კ.	2	1	1	0	6:2	3
„ტორპედო“	2	1	1	0	3:1	3
„დინამო“ მ.	2	1	0	1	6:2	2
„სპარტაკი“	2	0	2	0	2:2	2
„შახტიორი“	2	1	0	1	1:3	2
„ზენიტი“	1	0	1	0	0:0	1
„მოლდოვა“	2	0	1	1	2:4	1
„კრ. სოვეტოვი“	1	0	1	0	0:0	1
ცსკ მო	0	0	0	0	0:0	0
„ადმირალტეეცი“	1	0	0	1	1:5	0
„დინამო“ თბ.	1	0	0	1	1:6	0

* * *

⊙ **კიშინიოვი. 29 მარტი.** აქ შედგა სსრ კავშირის XX საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. თამაშობდნენ „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

თამაში მოიგო „ტორპედომ“—3:1.

⊙ **კიევი. 29 მარტი.** ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო მოსკოვის „სპარტაკი“.

მატჩის ანგარიშია 1:1.

⊙ **ბაქო. 29 მარტი.** მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ერილია სოვეტოვი“ (ეუბინშევი).

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

დუბლიორთა შეხვედრა

გუშინ თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის სტადიონზე შედგა შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და ცსკ მო-ს დუბლიორთა შორის.

მატჩი მოიგეს არმიელებმა ანგარიშით 4:1.

კობა წაქაძე—92,5 მეტრი

მართალია, დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში, მაგრამ ბრძოლის ქინი ჯერ კიდევ ვერ დაექმაყოფილებინათ შეჯიბრებაში მონაწილე 18 ქვეყნის სპორტსმენებს, რომელთა უმეტესობა შემთხვევითობით ხსნიდა თავის წარუმატებლობას. ოქროს მედლებისათვის ბრძოლებში დამარცხებულებს მიეცათ რევანშის საშუალება, როცა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტისა და ფინეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით მონაწილეები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი მათგანი გაემგზავრა ნორვეგიაში ჰოლმენკოლენის მიდამოებში, სადაც ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესის სახელი მოიპოვა ბ. კამენსკიმ (იგი ორი ცდით 67 და 68 მეტრზე გადახტა).

მეორე ჯგუფმა ფინეთის ქალაქ კუოპიოსაკენ გასწია. ტრადიციის თანახმად, ყველა დიდი მსოფლიო შეჯიბრების შემრეგ ამ ქალაქის ტრამპლინზე რეგულარულად იმართება მსოფლიოს უძლიერეს მხტომელთა შეხვედრები ტრამპლინის რეკორდის გასაუმჯობესებლად, რადგან იგი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება „ათასი ტბის ქვეყანაში“, როგორც აქ ფინეთს უწოდებენ.

ფინეთის, ნორვეგიის, შვეციის, იაპონიისა და სხვა უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად ამ ჯგუფში მოხვდა საბჭოთა სპორტსმენთა ერთი ნაწილიც, მათ შორის კ. წაქაძე, მ. ბრაგინი და სხვები.

მსოფლიო ჩემპიონატზე კობა წაქაძეს არ გაუმართლა პირველ ცდაზე. შესანიშნავი არეკნის შემდეგ იმ მიზნით, რომ, რაც შეიძლება დიდი ნახტომი შეესრულებინა, ზომაზე მეტად დაიხარა, ვეღარ შეძლო წონასწორობის დაცვა და დაეცა. მეორე ცდაზე მან ცხადყო, რომ იგი ერთ-ერთი უძლიერესთაგანია მსოფლიოში, ბრწყინვალე სტილში შეასრულა ნახტომი და სპეციალური პრიზიც კი მოიპოვა.

კუოპიოში ორმოცი მხტომელი იბრძოდა იმ სპორტსმენთა რიგებში შესასვლელად, რომლებსაც უფლება ექნებოდათ ეცადათ ტრამპლინის რეკორდის გაუმჯობესებისა, რომელიც დამყარებული იყო 1956 წელს კორტინა დამპეცოს ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ ფინელ ა. ჰივიარინენის მიერ და უდრიდა 90,5 მეტრს.

საუკეთესოთა შესარჩევი შეჯიბრება ორ დღეს გაგრძელდა. ყველა მონაწილეს შესასრულებელი ჰქონდა ოთხი ნახტომი, რაც შემთხვევითობას შეძლებისდაგვარად გამორიცხავდა. პირველ დღეს ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ფინელმა მ. ვალკამამ (80 და 81 მეტრი). მიუხედავად იმისა, რომ კ. წაქაძე სამი მეტრით ჩამორჩა (აჩვენა 78,5 და 77 მეტრი) ი. ჰირვონენს (გადახტა 78 და 80,5 მეტრზე) საუკეთესო სტილისათვის მიღებული მაღალი შეფასებით შეძლო მეორე ადგილის მოპოვება

მეორე დღეს მ. ვალკამამ დაძლია 84 და 85,5 მეტრი, ხოლო კობა წაქაძემ — 86,5 და 85, 5 მეტრი. უძლიერესთა რიგებს მიემატა პ. ტირკონენიც. დადგა ტრამპლინის რეკორდის გაუმჯობესების დღეც. ამ შეჯიბრებაზე დაშვებულ იქნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებმაც წინა ორ შეჯიბრებაზე შეძლეს 400-ზე მეტი ქულის დაგროვება, ასეთთა რიცხვი კი რვა სპორტსმენით განისაზღვრა, სხვებმა მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლეს.

მეორე დღის შედეგებმა ერთგვარი საფრთხის წინაშე დააყენეს ფინელები, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო რეკორდს დაუფლებოდა უცხო ქვეყნის წარმომადგენელი. ამიტომ ფინეთის საუკეთესო მხტომელებმა ენერგიულად დაიწყეს საცხების შერჩევა, ხოლო მწვრთნელებმა ერთხელ კიდევ მისცეს სათანადო დარიგებანი სპორტსმენებს. უკანასკნელ წუთებს ითვლიდა ჰივიარინენის რეკორდი.

დაიწყო შეჯიბრება. ფინელებმა ამაოდ სცადეს თანამემამულის შედეგის გაუმჯობესება. დარჩა ერთადერთი იმედი — საბჭოთა სპორტსმენი კობა წაქაძე. მაგრამ მისი გამარჯვება მაინცდამაინც არ აწყობდათ მასპინძლებს, რადგან ფინეთის სათხილამურო სპორტის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა სტუმართაგან ვინმეს გაეუმჯობესებინოს მათი ტრამპლინის რეკორდი.

საწყისზე სპორტსმენმა კიდევ ერთხელ შეამოწმა თხილამურები, სამაგრები და მესტარტის ნიშნის მოლოდინში ასასხლეტ ბაქანს გადახედა, თვალით გაზომა თუ რა დროის შემდეგ იყო საჭირო არეკნის შესრულება. დაეშვა. მრავალათასიანი მაყურებელი გაინაბა, წამიც და... არეკნილ ბაქანს მოწყდა ადამიანის სილუეტი. თითქოს თხილამურებზე დაწვა სპორტსმენი. მხტომელმა ელვასავით გადაუქროლა 85, 87, 89 მეტრს. მაყურებელი ნათლად ხედავდა, რომ ჩაესვენა ჰივიარინენის რეკორდის მზე და, ვიდრე სპორტსმენი ამას საქმით დაამტკიცებდა, ჰაერი აღტაცების შეძახილმა და ტაშის გრიალმა შეაზანზარა.

მსაჯებმა მაყურებლებს აუწყეს ძველი რეკორდის 2 მეტრით გაუმჯობესება, ფინეთის ტრამპლინის რეკორდის ისტორიაში პირველად ჩაიწერა ქართველი სპორტსმენის გვარი „კობა წაქაძე — 92,5 მეტრი“.

მეორე დღეს ფინეთის გაზეთებმა ფართო ადგილი დაუთმეს კ. წაქაძის შესანიშნავ წარმატებას. მკითხველებს დაწვრილებით მოუთხრობდნენ „ახალი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის“, „არწივზე თამამი“ 23 წლის რეკორდსმენის კ. წაქაძის შესახებ, რომელმაც შეძლო სკუთარ ბანაკში დაემარცხებინა ფინელები.

ო. გელაშვილი





ამერიკელი კალათბურთელები საბჭოთა კავშირში

მიმდინარე წლის აპრილში საბჭოთა კავშირში ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ჩამოვა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდი. სტუმრები მატჩებს ჩაატარებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში.

როგორც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება, ამერიკელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობა ჩვენთვის არ არის ცნობილი, მაგრამ უძლიერესთა ათეულზე წარმოდგენას გვაძლევს კონკურსის შედეგები, რომელიც მოეწყო ჟურნალისტების, რადიოკომენტატორების და სპეციალისტების მონაწილეობით. კონკურსში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა ზანგმა კალათბურთელმა კანზასიდან უილტონ ჩემბერლენმა — 1502 ქულა. იგი აღიარებულია შეერთებულ შტატებში ყველაზე პოპულარულ კალათბურთელად. მეორე ადგილზე გამოვიდა აგრეთვე ზანგი სპორტსმენი ქალაქ ცინცინატიდან ოსკარ რობერტსონი (1330 ქულა). უნდა ითქვას, რომ რობერტსონი „დიდი კალათბურთის“ ასპარეზზე სულ ახლახან „ამობრწყინდა“.

მომდევნო ადგილებზე არიან ელგინ ბაილერი (სიეტლიდან)—1327 ქულა, გაი როჯერსი (ტემპლინიდან) — 975 ქულა, დონ ჰენონი (პიტსბურგიდან)— 717 ქულა.

უძლიერესთა მეორე ხუთეულში შევიდნენ — ბუზერი (კანზასი), ა. დისი (ინდიანა), ბ. ჰოუკლი (მისისიპი), ლ. შარარი (დასავლეთ ვირგინია), პ. ბრენანი (ჩრდილოეთ კაროლინა).

* * *

სრულიად ამერიკის სტუდენტთა სპორტული გაერთიანება ქალაქ კანზას-სიტში (აშშ) ყოველწლიურად აწყობს სტუდენტთა გუნდების ფინალურ ტურნირს. „საქალაქო აუდიტორიუმი“ იტევს 10.500 მაყურებელს. სურათზე — ჩრდილოეთ კაროლინას და კანზასის გუნდების გადამწყვეტი შეხვედრის მონაწილეები როზენბლუტი (ჩრ. კაროლინა), ჩემბერლენი (შუაში) და ბრენანი (ჩრ. კაროლინა) უყურებენ კალათბაკენ გატყორცნილ ბურთს.

(ფოტო ჟურნალ „ამერიკიდან“).

მიგვყავს ანგარიში 1:0

ქ. ტოტნინში ცენტრალურ სტადიონზე ორმხრივ მატჩი ფეხბურთში, რომელის დროსაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ადგილობრივ მცხოვრები და ... ... მსხმელი რალფ კოუბანი სასწრაფოდ იქნა გამოძახებული ტელეფონთან სამშობიარო სახლის თანამშრომელთა მიერ.

კოუბანს შეატყობინეს, რომ იგი მამა გახდა. შეკითხვაზე, თუ რა სურს მას გადასცეს თავის მეუღლეს, ფეხბურთელმა უპასუხა: „გადაეცით ლუიზას, რომ მიგვყავს ანგარიში 1:0“.

„ლოკოკინათა რბოლა“

პარიზში შედგა ე. წ. მონმარტრის „ლოკოკინათა რბოლა“, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს გაზეთი „ლიბერასიონი“. რბოლაში მონაწილეობდნენ ავტომობილუბისა და ტრაქტორების მფლობელები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ... ნელ სვლაში.

ამჯერად გამარჯვება მოიპოვა ავტომობილისტმა ჟანემ, რომელმაც „ეუაზენის“ მარკის 1920 წელს გამოშვებული მანქანით დისტანცია განვლო 220 მეტრის სისწრაფით საათში.

... კოლექტივებში

უყურადღებოდ ეკიდებიან

„კოლმეურნის“ ზესტაფონის რაიონის ... ...